№ 265
პარასკევი, 11 დეკემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 265
პარასკევი, 11 დეკემბერი, 1898 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

# ქართული თეატრი

კვირას, 13 დეკემბერს,
ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქმნება

## რევიზორი

კომედ. 5 მოქმედ., თხზ. ნ. გოგოლისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, გარელი, გალუსტოვისა, ბ-ნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, იმერიძე, იმედაშვილი, ხოსროევი, თირელი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, დანიშნულია ვ. აბაშიძის ბენეფისი.

# ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—1)

# გაიცემა იჯარით

გორის მიძინების საკრებულო ეკკლესიის **ერთ-სართულიანი ქვიტკირის მაღაზია ოთხის ოთახით,** რომელიც მდებარეობს ამავე საკრებულო ეკკლესიის ქუჩაზედ, საჯარო ვაჭრობითა, მომავალის 1899 წლის მარტის 9 დგან რვა წლის ვადით.

ვაჭრობა იქნება ამავე საკრებულო ეკკლესიის გალავანში, საეკკლესიო სახლში, მომავალის იანვრის 10-სა, შუადღის 12 საათზედ, ვაჭრობის მესამე დღეს განმეორებით. მოვაჭრემ ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს მესამედი ვაჭრობის ფულისა. ვაჭრობა დაიწყება ოც-და-ჩვიდმეტის თუმნიდგან. ვისაცა ჰსურს შეტყობა პირობებისა, შეუძლიან მიჰმართოს ხსენებულ საკრებულოს ეკკლესიის მღვდელს, ბლაღოჩინს დიმიტრი ტატიევს.

გორის მიძინების საკრებულო ეკკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ბესარიონ თავდგირიძე.
(3—1)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია) ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო: ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ტფილისის სამოსამართლო პალატის მიწის-მზომელის უფროსს თანაშემწეს ბაქრაძეს; კოლლეჟსკი რეგისტრატორობა—ტფილისის სამოსამართლო პალატის გამმგზავნელ საკრებულოს კანცელარიის მოხელეს ნასიძეს.

◆ ◆

# ახალი ამბავი

⁂ უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე აბასთუმნიდგან ტფილისში დაბრუნდა.

⁂ ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეუდგეს სოფელ ავჭალაში სახლის აგებას იმ მუშათათვის, რომელნიც ქალაქის წყლის მილზედ მსახურებენ.

⁂ 9 დეკემბერს, ქალაქის გამგეობამ სხდომაზედ განიხილა საგანი ქალაქის ხელ-ახლად დაფასებულ უძრავ ქონებათა კვალობაზედ გაწერილ გარდასახადის ძალაში შემოღების. [illegible] დაადგინა: გამოაქვეყნოს ადგილობრივ გაზეთებში, რომ 1899 წ. პირველ იანვრიდგან გარდასახადი სახლის პატრონებს გაეწერება ახალის დაფასების კვალობაზედ; გამოაცხადოს, რომ სახლის-პატრონებს ცალკე ბარათებით ეცნობებათ, თითოეულს მათგანს ახალის დაფასებით რაოდენი გარდასახადი დაედება; ვიდრე ბარათებს მიიღებდნენ, სახლის-პატრონებს ურჩიონ შეიტანონ გარდასახადი ძველის დაფასების კვალობაზედ, ხოლო როდესაც გარდასახადი ახალის დაფასების კვალობაზედ იქმნება შემოღებული, იმ სახლის პატრონებს, რომელთაც ნაკლები ექმნებათ გარდახდილი, პირველ მაისამდე ვადა მიეცემათ შეავსონ დანაკლისი, ხოლო იმათი ფული, ვისაც მეტი ექმნება შემოტანილი, 1899 წლის მეორე ნახევრის გადასახადში იქმნება ჩათვლილი; მოიწვიონ 15 კაცი ორის თვის განმავლობაში, ე. ი. 15 თებერვლამდე ყველა იმ საქმეების სისრულეში მოსაყვანად, რაც ახალ-დაფასების კვალობაზედ გაწერილ გადასახადის შემოღებას დასჭირდება; შტატის შედგენა და სამუშაოს განაწილება მიენდოს გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, გადადებულ იქმნას ამ საქმისათვის არა ნაკლებ 3,000 მანეთისა.

ეს დადგენილება ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

⁂ იმავე დღეს, 9 დეკემბერს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ამიერ-კავკასიის რკინის გზის წინადადება არხის გაყვანის შესახებ რკინის გზის სადგურიდგან დაწყებული ანდრეევისა, ბულვარისა, ელისაბედისა, ასათიანისა და მიხეილის ქუჩებზედ მტკვრამდე. რკინის გზის გამგეობა თანახმაა გადასდოს ამ საქმისათვის 10,000 [illegible] გამგეობამ მიიღო ეს წინადადება, ამასთან დაადგინა, რომ თუ ამ თანხაზედ ნაკლები დასჭირდება, ქალაქის გამგეობა ვალდებულია დანარჩენი ფული უკანვე დაუბრუნოს რკინის გზას, ხოლო თუ მეტი დასჭირდა, ქალაქის თანხიდგან შეავსოს.

⁂ იმავე სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა „ღრმა-ღელეს" აგარაკის პატრონთა თხოვნა იმის შესახებ, რომ ღრმა ღელეში წყლის მილი იქმნას გაყვანილი და მიეცეთ მათ ყოველ დღე 2000 ვედრო წყალი. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა იმ მიზეზით, რომ წყალი თვით ქალაქსაც არა ჰყოფნის.

⁂ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ბორჯომიდგან გაუტანიათ სამკურნალო წყალი: 1890 წ.—5350 ბოთლი, 1891 წ.—6055 ბოთლი, 1892—61,552; 1893—147,984; 1894—193,949; 1895—319,225; 1896—481,708; 1897 წ.—659,267 ბოთლი. ბორჯომის წყალი უმთავრესად გააქვთ ტფილისს (220 ათასი ბოთლი), მოსკოვს (55 ათასი ბოთლი) და პეტერბურგს (35 ათასი ბოთლი).

⁂ როგორც „ახ. მიმ." იუწყება, ტფილისელი კბილის ექიმები და დანტისტები აარსებენ საონტოლოგო საზოგადოებას. წესდების პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და ამ ახლო

# ფელეტონი

### „ეგ-და მაკლდა"?...

(ამბავი)

(დასასრული *)

II

კარგა შებინდებაა. საქაჯეთის მამასახლისის შაროს (წიგნის სახელი ზაქარია ერქვა, მაგრამ მეორე სახელად შაროს ეძახდნენ) ქვითკირის შენობა გაჩირაღდნებულია მაღლა ჩამოსაკიდ ლამპრებით. გრძელი დარბაზის უკანა კედელთან სიგრძე სიგრძობამდის გადაჭიმული ტახტი მუთაქა-ხალიჩ-ფარდაგებით იყო დაფენილი. წინა კედელთან, ფანჯრების მხარეს გრძელ ხალიჩა გადაფარებულ სკამზედ სტუმრები ჩამწკრივებულიყვნენ და ჩაის შეექცეოდნენ. ბუხარი მხიარულად გიზგიზებდა და სასიამოვნო სითბოს ავრცელებდა ოთახში. ქალები ჯერ არა სჩანდნენ. კაცებმა გაათავეს ჩაის სმა და ბაასი გააბეს. ზოგი ამ მთისას ამბობდა, ზოგი იმ მთისას. აქ შეკრების საგნის შესახებ ლაპარაკის დაწყობას ჯერ-ჯერობით ვერავინა ჰბედავდა. მხოლოდ მობაასეთა შორის ყველაზედ უწინარეს თვალში მაღალ-მაღალი, თმაში ცოტად ჭაღარა გამორეული მამასახლისი შარო გეჩხირებოდათ. შაროს სახეზედ რაღაც ეშმაკური ღიმილ-სიამოვნება ეფინებოდა, მაგრამ ისე ოსტატურად იმალავდა ამ სიმხიარულეს, რომ გარეშე მაყურებელს ეგონებოდა, ისე დამშვიდებულ-დაწყნარებულია, რომ თითქოს აქ არაფერი შემოჰყოლიაო. მართლაც, ამ კაცის წარსული და აწმყო სულ ამ ორფეროვნება-ორპირობაში იყო გახლართული. ისე დახელოვნებულიც იყო თავისს გულის ნადების დამალვაში, გულში რომ ქვეყნის დაღუპვა სდებოდა, ქვეყნის ერთგულ-თავდადებულად გეჩვენებოდათ. სიტყვაც ისეთი ქლესა-გაიძვერული ჰქონდა, რომ ერთს საათში მტერს მოყვარედ გაიხდიდა. ერთის სიტყვით, მგელკაცი იყო ბატკნის ტყავში გახვეული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თუმცა ვალებით ყელთამდის იყო ჩაფლული თავისის სვავივით გაუმაძღარის მუცლის წყალობით, მაინც ისე აჩვენებდა ქვეყანას თავს, თითქოს დიდის შეძლების პატრონი ყოფილიყოს. ფულის შოვნა-სესხებასაც ახერხებდა. ერთს მოვალეს მეორე მოვალის წყალობით აჩუმებდა, ჰთითლიბაზავდა. თავისის ხანგრძლივის მოხელეობის დროს, ხან მწერლად, ხან ხარჯის ამკრებად, ხან მამასახლისად, კარგა ბლომად უხვეტნია ფული, მაგრამ არმად აღებულს ფულს უბარაქოდ გაუვლია. ამაზედ იტყოდნენ, ხოლმე ვინც შინაურულად იცნობდა,—მაგას ჯიბე გახვრეტილი აქვს, უძირო ორმოა, თავისის არა-წმინდა ბუნების წყალობითაო. აი ასეთი ჯიბე გახვრეტილი კაცი ჰპირდებოდა ვანოს, ჩემს ქალს ას თუმან ქრთამს და ასის თუმნის მზითევს მივცემო. თან შარო გულში ფიქრობდა, „დაპირებული დაბირებული; ერთი-კი ჩავითრიო, კისერზედ მოვხვიო ჩემი ქალი და მერე ცოცხალთ იციან, საითაც უზამენ მკვდარს ფეხებსაო".

მოწვეულ სტუმართა შორის, ჩვენ ნაცნობ გეურქასა და ვანოს გარდა, სხვანიც ბევრნი ერივნენ; მაგრამ აგერ მეორე ოთახის კარი გაიღო და იქიდგან საპატარძლო და სხვა უბნის ქალები გამოვიდნენ. ისედაც სილამაზე-სიკეკლუცეს მოკლებული მარო (საპატარძლოს სახელი), ქალებში სრულად აღარა ჰშვენოდა. მაღალი, აწლურტული წელი ხომ სრულად უკარგავდა ლაზათს. ზედ მეტად ესე შეეთითხნათ ფერ უმარილით სახე, რომ თეთრი წამალი ხრილივით ყავარ-ყავარ ეყარა პირისახეზედ; მაგრამ მორცხვს და ქალებთან ყოველთვის მოკრთალებულს ვანოს სახეზედ არც-კი შეუხედნია თავისის საბოლოო ბედნიერება-უბედურებისათვის. საბრალო ვანო კუნჭულში ერს სკამზედ მიყუჟურავებულიყო და თავ-ჩაქინდრული თავისის წაღების წვერებს შესცქეროდა. მეტის-მეტ მღელვარებისაგან ვანოს სრულად გამოსცლოდა ფერი, სახის ნაკვთები და თვალის კილოები მაღლა-მაღლა უხტოდ-უთამაშებდა. ქალებმა თავ-თავიანთი ადგილი დაიჭირეს ტახტზედ, მუთაქებზედ ჩამომწკრივდნენ, კაცებიც დალაგდნენ გრძელ სკამზედ, მხოლოდ ვანო იჯდა გაშტერებული, გაუნძრევლად ერთსა და იმავე ადგილას—გაათავეს სამზითვო სიის წაკითხვა, სასიმამრო შარომ ხელი მოაწერა სიას. ეხლა ნიშნის მიცემა ღა იყო საჭირო, რომ მერე ლხინ-ქეიფს მისცემოდნენ. გეურქამ შეამჩნია, რომ ვანო ადგილიდგან არ იძვრებოდა, ადგა, მივიდა, მკლავი მკლავში გაუყარა და ძლივს-ძლივობით ქალისათვის ხელზედ ბეჭედი გააკეთებინა. იქ დამსწრეთ სიხარულის ნიშნად ტაში დაუკრეს, დაირა ლეკური გააჩაღეს. შესრულდა გარეგანი ფორმა დანიშვნა-დაწინდვისა. მასპინძელი ვახშმის თა-

---

*) იხ. „ივერია" № 264.

მომავალში მთავრობას წარუდგენენ დასამტკიცებლად.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, სომეხ-გრიგორიანთა კათალიკოსი მკრტიჩ I ტფილისში საქმეების გამო ჩამოვიდა და დაჰყოფს აქ 2 ან 3 თვეს.

*** ქუთაისი. ქუთაისის მასწავლებელთა ის მცირე წრე, რომელმაც ამას წინად რამდენჯერმე ყრმათა გასართობად სეირნობა გამართა, ეხლა დაკანონებულ საზოგადოებად აპირობს გადაქცევას ამ ნაირის სახელწოდებით „ქუთაისის ყრმათა მზრუნველი საზოგადოება“.

5 დეკემბერს ქუთაისის საბჭოს დარბაზში კრება იყო დანიშნული უკვე შედგენილის წესდების მოსასმენად. [illegible] და გარდასწყვიტა თხოვნასთან ერთად იგი წარუდგინოს დასამტკიცებლად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს. საგანი საზოგადოებისა, როგორც წესდებიდგანა სჩანს, საკმაოდ ფართოა. საზოგადოების მოქმედებას საგნად ექმნება: განუვითაროს და განუძლიეროს ყრმათა და მოზარდ-ახალგაზდობას ფიზიკური ძალა სხვა-და-სხვა ნაირის საშუალებით: თამაშობით, გიმნასტიკურ ვარჯიშობით, აგარაკების დაფუძნებით და სხ.; ეცდება აგრეთვე პატრონობა და მზრუნველობა გაუწიოს ღარიბესს ყმაწვილებს, უკანონოდ შობილებს და ობლებს საჭმლით, საცმელით, ბინით და სხვა. იმედია, ბ-ნი გუბერნატორი ამ საზოგადოების წესდებას მალე დაამტკიცებს. წესდებაზედ ხელი მოაწერეს გიმნაზიის დირექტორმა, საეპარქიო საქალებო სასწავლებლის უფროსმა, სათავად-აზნაურო და სამოქალაქო სკოლების ინსპექტორებმა, მრავალმა მასწავლებელმა, ექიმებმა და სხვებმა.

*** ს. კანი, (ქუთაისის მაზრა). ამას წინად აქედგან მიმავალს მეკვერცხე ებრაელს დილა ადრიანად შეხვედროდა გზაში ორი ქვევითი კაცი; მოეთხოვათ ებრაელისაგან ფული, მაგრამ, რადგანაც ებრაელს არაფერი აღმოსჩენოდა, დაეკრათ ქვა და წაექციათ, კვერცხებიც სულ დაემტვრიათ. რამდენისამე ხნის შემდეგ ებრაელს თავს წამოსდგომოდნენ სხვა მოგზაურები და გაეგზავნათ სახლში. ბოროტ-გამზრახველები გაიქცნენ და ვერსად იპოვნეს.

*** დუშეთი. დიდის ხნის ნატვრა-სურვილი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა 6-ს ნოემბერს აგვისრულდა დუშელებს. განსვენებულის ქველ-მოქმედის ა. ს. რონაშვილის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო ამ დღეს აკურთხეს და დაიწყო მოქმედება. კურთხევას დაესწრო მრავალი ხალხი, რომელსაც ადგილობრივმა მღვდელმა მ. მეტრეველმა დროისა და შემთხვევის შესაფერი სიტყვით მიჰმართა და აუხსნა მნიშვნელობა სამკითხველოსი და ქველ-მოქმედებისა. შემდეგ გარდახდილ იქმნა სამკითხველოს დამაარსებლის [illegible] მოსახსენებლად პანაშვიდი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბიბლიოთეკა სამკითხველო მცირე სარგებლობას არ მოუტანს დუშეთის საზოგადოებას, რომელიც აქამომდე სრულიად მოკლებული იყო რიგიანსა და აზრიანს გასართობს, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ადგილობრივს კლუბს, რომელმაც თქვენი ჭირი წაიღო, და ასეც რომ არ ყოფილიყო, ის მაინც სამკითხველოს მაგიერობას ვერ გასწევდა. ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ქალაქის თვით-მმართველობისაგან უსასყიდლოდ დათმობილს ორს ოთახშია მოთავსებული და წესდების ძალით ამავე თვით-მმართველობას აქვს ბიბლიოთეკის საქმეთა მართვა-გამგეობა დავალებული. სახლის გარდა თვით-მმართველობა შეჰპირდა წელიწადში ათს თუმანს, სახლის გათბობა-განათებისა და მოსამსახურეს ხარჯის გასტუმრებას, რაც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამკითხველო საკმაოდ მკვიდრს საფუძველზედაა დამყარებული. წესდების შედგენა-დამტკიცებისა და ბიბლიოთეკის მომართვა მოწყობისათვის არა-მცირედი შრომა გასწიეს პატივცემულმა მაზრის ექიმმა ბ-ნმა იაშვილმა, ვას. რონაშვილმა და ქალაქის თვით-მმართველობამ.

*** 14 ნოემბერს ქუთაისში გამართულ იქმნა საღამო ადგილობრივ საგვარეო სკოლის სასარგებლოდ. სრული შემოსავალი ყოფილა 1083 მანეთი და 74 კაპეიკი, ხარჯი 333 მან. 74 კ., დარჩენილა 750 მანეთი.

*** 5 დეკემბერს მესამე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ სასანიტარო კომისიასთან ერთად დაათვალიერა ქალაქის მე-10 ნაწილის დუქნები და სასტუმროები. კომისიამ აღმოაჩინა, რომ არა სანიტარულ მდგომარეობაშია სასტუმროები „ზოლოტოი იაკორი“ და „მეტროპოლი“. ბ-ნმა წინამძღვარიშვილმა იქვე გადაუწყვიტა პირველ ასტუმროს პატრონს ერთის თვით პოლიციასთან დაპატიმრება, ხოლო მეორეს 15 მანეთის ჯარიმის გარდახდა.

*** აფთიაქის პატრონმა კამოცკიმ გამოუცხადა პოლიციას, რომ 7 დეკემბერს ჩემის სადგომიდგან ვიღაცამ მოიპარა ორი პალტო, საშაქრე და ფრაკის 11 კოვზიო. ეჭვი კამოცკიმ თავის მოსამსახურეთ ნამყოფზედ იაკობ სილაძესა და სიმონ ხაშაურიძეზედ მიიტანა.

*** 8 დეკემბერს. თამ. გორის მაზრის გლეხები გიორგი ხუტაშვილი და მიხეილ დიდხურაბიშვილი გრიგოლ თარაიანცის ტანისამოსის მაღასიაში შეიპარნენ ტანისამოსის მოსაპარავად. ქურდებმა უკვე მოასწრეს 17 შარვლის და ერთის ქურქის გამოტანა, როდესაც პოლიციელს დუქნებიდგან რაღაც შრიალი მოესმა. პოლიციელმა ერთი სხვა პოლიციელი მიიშველია და ქურდები შეიპყრო.

*** ამას წინად დაბეჭდილი გვქონდა რუსულ გაზეთებიდგან ამოღებული ამბავი, რომ ზუგდიდის მახლობლად ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ გაძარცვეს სენაკის მაზრის მცხოვრებელი რევაზ გოგიაო. ეხლა გაზ. „კავკ.“-ი სწერს, რომ, როგორც გამოძიებამ გამოარკვია, ეს ამბავი სიმართლეს მოკლებული ყოფილაო. გოგია ღორების სასყიდლად გაუგზავნიათ და ფული გაუტანებიათ. გზაზედ თავს არავინ დასხმია, მხოლოდ მგზავრები შეჰხვედრიან. ამ მგზავრებისათვის თვითონ დაუწყვია ჩხუბი და შემდეგ პოლიციისთვის გამოუცხადებია განგებ, რათა ფული შეენარჩუნებინა, გამქურდესო.

*** ერევნიდგან სწერენ „ნორ-დარს“: ამას წინად ერთმა ახალგაზდა 24 წლის კაცმა ცოლად შეირთო 75 წლის მდიდარი დედაკაცი. არ გასულა ბევრი ხანი, „ახალგაზდათ“ ლაპარაკი მოუვიდათ იმის გამო, რომ ცოლი თავის ქონებას ქმარს არ უმტკიცებდა. ამ რამდენისამე დღის წინად დედაკაცი მკვდარი იპოვნეს. ექიმმა შეამოწმა, რომ იგი დაუღვრჩიათ. ახალგაზდა ქმარი, რომელსაც ამ მკვლელობის ბრალი დასდეს, დაპატიმრებულ იქმნა.

◆ ◆

## წლიური კრება კახელ მევენახეთა საზოგადოებისა

(შემდეგი *)

თავ. ჯაჩნაძე. ამ ანგარიშში ნათქვამია, 15% ბოჭკის ფასს დავაკლეთო. არ შეიძლება ცხადად გამოითქვას?

თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. ავეჯი რაც ნაკლებ იქნება დაფასებული, ისა სჯობია. ავეჯის ნაკლებ ფასად ჩაგდება ანგარიშის დროს მომასწავებელია ამხანაგობის საქმის სიმტკიცისა. სიმართლეც მოითხოვს, რომ ნახმარი ნივთი ნაკლებად ფასდებოდეს, ვიდრე ნასყიდია.

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. მართალია, მე ბევრი რამ ვთქვი გამგეობის წინააღმდეგ. დავასახელე ნაკლულევანებანი საქმის წარმოებისა, მაგრამ ყველა ეს იმისთვის-კი არ მომსვლია, ვითომ წინააღმდეგი ვიყო ანგარიშის დამტკიცებისა. არა, რაც შეეხება ანგარიშის დამტკიცებას, უნდა მოგახსენოთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში ღირსია დამტკიცებისა და, ჩემი ნათქვამი რომ უსაბუთო არ გეგონოთ, დასამტკიცებლად მიგითითებთ სამიწად-მოქმედო სამინისტროზედ, რომელმაც განიხილა წარსულის წლის ანგარიში ჩვენის ამხანაგობისა და დიდად მოიწონა. ამასთანავე მოვაგონებთ, რომ წარსულის წლის ანგარიშით ამხანაგობის საქმე ნაკლებად მტკიცედ იყო, ვიდრე წარმოდგენილი ანგარიში გვაჩვენებს. ვთხოვ თავმჯდომარეს, წაიკითხოს სამინისტროს აზრი, შარშანდელ ანგარიშის შესახებ გამოთქმული.

თავმჯდომარის განკარგულებით თავ. ს. რ. ვახვახიშვილი კითხულობს ხსენებულ ანგარიშს. წაკითხულიდგან სჩანს, რომ სამინისტროს მოსწონებია ამხანაგობის საქმის მსვლელობა და აქებს მართვა-გამგეობას ამ ამხანაგობისას. სამინისტროს მთელს იმპერიაში სულ ექვსი ამხანაგობა უცვნია მტკიცე საფუძველზედ დაყენებულად. სხვანი ან ვერ განხორციელებულა, ან დაბადებისათანავე უღღეურო აღმოჩენილა. ამ ექვს ამხანაგობაში ყველაზედ საუკეთესო მდგომარეობაში „კახელ მევენახეთა ამხანაგობა“ მიუჩნევია.

თავმჯდომარე თ. მაყაშვილი. ანგარიშის შესახებ საკმაოდ გამოითქვა აზრი. ახლა ვთხოვ კრებას, მიიღოს ყოველივე ნათქვამი სახეში და თვისი მსჯავრი დასდოს: ამტკიცებს ანგარიშს იმ სახით, როგორც არის წარმოდგენილი, თუ არა? (გაისმის მრავალი ხმა „ვამტკიცებთ! ვამტკიცებთ!) გთხოვთ, ვინც თანახმანი ხართ დამტკიცებისა, ფეხზედ ადგომით გამოსთქვათ თქვენი სურვილი.

სუყველანი ფეხზედ წამოდგნენ.

თავმჯდომარე. ანგარიშის შემდეგ კრების განსახილველად არის წარმოდგენილი მოხსენება, რომელშიაც 7 საგანია აღნიშნული. აქ გამოითქვა აზრი, რომ მოხსენება უნდა განეხილა ჯერ ზედამხედველ კომისიას, თავისი აზრი გამოეთქვა მოხსენების ყველა მუხლის შესახებ და მერე წარმოედგინათ კრებისათვის. ახლა როგორ ინებებს კრება, განიხილავს მოხსენებას, თუ არა?

თ. ს. რ. ვახვახიშვილი. მართალია, მოხსენება უნდა გადაგვეცა ზედამხედველ კომისიისათვის, მაგრამ ვერ მოვასწარით და ახლა განხილვა კი საჭიროა კრების მიერ. განსაკუთრებით, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა თუ არ იქმნა განხილული, საქმის წარმოებაც არ შეიძლება. აგრეთვე საჭიროა ზოგიერთი საგნის განხილვა.

თავმჯდომარე. საჭიროა და უნდა მოვისმინოთ.

თავ. ჯაჩნაძე. მოხსენებაში, სხვათა შორის, ნათქვამია კრედიტის გახსნის შესახებ და მასალა ამ საგნის განსახილველად არა არის-რა.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. ბევრჯელ მოუსმენია კრებას კრედიტის შესახებ ვრცელი მოხსენება და გამგეობას იმედი აქვს, კრება ამ საგნის განხილვის დროს მოიგონებს ყველა იმას, რაც სხვა დროს თქმულა. მოგეხსენებათ, ჯერ უნდა დავხარჯოთ და მერე გავყიდოთ; ჯერ უნდა ღვინის პატრონს გაუსწორდეთ ღვინის ფასში, მერე ის ღვინო გავყიდოთ. აქ თხოულობენ მასალასა; აბა რაღა მასალა უნდა, როცა საგანი ყველასათვის ცხადია და ნათელი! ჩვენ გვაქვს სესხის აღების ნება-რთვა კრებისაგან და ახლა ვთხოულობთ ამ უფლების გაფართოვებას. აქ ახალი

---

*) იხ. „ივერია“ № 263.

---

დარიგს შეუდგა და იმ ღამეს იქ დამსწრეთა მხიარულება-მრავალჟამიერს დასასრული არ ჰქონდა გათენებამდის. მხოლოდ ვანო იყო მოწყენილი იმ ღამეს, ხმა ვერ ამოაღებინეს, კბილი კბილს ვერ დაადგმევინეს. მეორე დღეს ეს ამბავი ქვეყანამ გაიგო. მომლოცველთ ვანო თავ-აუღებლად მადლობას უცხადებდა...

...მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა ვანო გონს, მიხვდა რა სისულელეც ჩაიდინა, რა უფსკრულისაკენაც დაქანდა. ვანო დანიშნულისათვის პირდაპირ შეხედვასაც-კი ვერ ჰბედავდა, არა თუ გული გაეერთებინა მასთან. ან რა მანქანებით მოხდებოდა ამათი სულიერი დაახლოვება, როდესაც ვანოს მარო ძალდატანებით მოახვიეს კისერზედ თავისის გულის წადილის წინააღმდეგ. იმ დღიდგან ვანოს ტანჯვას დასასრული არ ეძლეოდა, იწვოდ-იდაგებოდა სირცხვილის ალმურით.

— არა, რაღად მინდა თავი ცოცხალი, თუ კი უბრალო სოფლის მამასახლისსაც-კი იმდენი ძალა-გავლენა აქვს ჩემზე, რომ ერთი დატურტურება საკმარისია, გული ბუდიდგან გადმომვარდეს და ისე ამათამაშოს, როგორც დუდუკსაც ისინი დაუკრავენ. სიკვდილამდის უგემურ, დღემუდამ ჩაშხამებულ სიცოცხლეს, არ ყოფნა სჯობია, მაგრამ დედას, დებს რაღა ეშველებათ. იმათი იმედი, სიცოცხლე ხომ მე ვარ. მე შემომხარიან, ჩემზედ ამოსდით მზე და მთვარე. სულ უკანასკნელი, ამ სამარცხვინო გარემოებაში ყოფნას შინ უადგილოდ ყოფნა სჯობია... ამ ორგვარ ერთი მეორის წინააღმდეგ ფიქრებით ვანომ მიაღწია საშობაოდ მოსწავლეების დათხოვნის დრომდის. დაითხოვა მოსწავლენი და თითონაც მოჰკურცხლა დედისაკენ ასე, რომ დანიშნულს არც-კი გამოსთხოვებია...

### III

წყალ-კურთხევის ღამეა. უმთვარობაა, მაგრამ მოკრიალებულს ცის გუმბათზედ ვარსკვლავებს ერთი ალიაქოთი გაუქვთ, ფერხული ჩაუბამთ და თავისის ნაზი მიკრთალებულის სინათლით დედამიწის თოვლისაგან თეთრად გადაპენტილს გულმკერდს აბრჭყვიალ-ახხივოსნებენ და უნდათ ისიც თავიანთი თანაზიარი გახადონ სიმხიარულეში, მაგრამ ამაოდ. დედამიწა ესოდენ ძლიერად არის გაჟღენთილი უბედურ-უმწეოთა ცრემლებით და კვნესა ვაებით, რომ მათ სიცხოველეს გამოლეულ შუქს ვერ ძალუძს ისიც აიყოლიონ, დარდკაეშანი გულიდგან გადუგდონ, დაშრიტონ ტანჯვა-წვალების წყარო და ურვა სამარადისო. სოფელ ნ—საც თოვლის ზეწარი გადაჰკვრია. ყველანი სახლებში მიკუნჭულან, თბილს ბუხრებს მიჰსხდომიან. ვანოც მისჯდომია ბუხარს. ამისი დედა და დები-კი ერთ ფაცა ფუცში არიან, შვილს სამგზავროდ ამზადებენ. ის-კი არ იციან, ეხლა ვანოს გულში რა საკირის ცეცხლი ენთება, ამას საქაჯეთისაკენ გული აღარ მისწევს, მაგრამ აქამდის ვერ გაუბედნია დედისათვის. ბარემ ჯერ წინადვე ყელი გამოსჭრას, უძირო ორმოში ჩააგდოს!.. არა-და, თითონ უნდა იტანჯოს სიკვდილამდის. იმ ქალთან ვანოს არ ეცხოვრება, მისკენ გული არ მისწევს... დედა... დები... ამ ფიქრებში გართული ვანო დედის სიტყვებმა გამოაფხიზლა.

— აი, შვილო, შენ კი გენაცვალოს დედა, ყველაფერი გაგიმზადე, თავით დაგიწყობ, რომ ღამე ასადგომი ხარ, აქ არაფერი დაგავიწყდეს...

— რა გამიმზადე დედი, ძლივს წაილუღლუღა ვანომ, მე იქით წამსვლელი არა ვარ. ფეხსაც ვერ გავდგამ იქით.

— რატო, შვილო, შენ-კი შემოგევლოს ჩემი თავი; მაშ სასწავლებელი, შეგირდები ვის სინაბარს დასტოვე.

— ვის სინაბარას უნდა დავტოვო, თვითონ უშოვნიან პატრონს. მე კი იქით არ წამესვლევინება.

— რატო, შვილო, რა მიზეზია, რატომ არ შემატყობინებ მე თავმკვდარს.

ვანოს თითქოს ყელში ძვალი გაეჩხირაო. შესაბრალისად დაიწყო ყლურწუნი და ნერწყვის ყლაპვა, მაგრამ სათქმელი ერთხელაც მაინც უნდა ითქვას... მოუყვა ვანო დედას, ხრინწიანის ხმით, თავისს თავ გადასავალს. მართას ჩამოსდიოდა ცრემლები ღაპაღუპით, მაგრამ ჯავრს უსიტყვოდ გულშივე იკლავდა. ბოლოს გაათავა ვანომ და დასძინა:

— აი, დედავ, ყველაფერი გულახდით გიამბე და თუნდ მოვკვდე, მე იქით პირს ვეღარ ვიზამ.

— მერე, შვილო, ჩვენ რაღას გვეუბნები. მე ჯანი და სული გამვარდეს. ცოდვის შვილები მაინც არ გენანება, რომ გათხოვების დრო აქვთ და ლიპლიკანები კი გვისხედან სახლში?.. სირცხვილისაგან თავი კარში ვერ გამოუყვიათ. წელიწადი ისე გაივლის, თითო ხელ ჩითის კაბებში უნდა იყვნენ გამოწყვრულნი, თითო ხელის ფეხთ-ტანთ საცმელის სანაბარანი, ცოტაოდნად შენმა ჯამაგირმა მოგვიბრუნა სული, ორიო-

არა არის-რა. ამასთან გვინდა, რომ სახელმწიფო ბანკმაც გაგვიხსნას კრედიტი. უკანასკნელ დროს გამოცხადებული იყო, რომ სახელმწიფო ბანკი მისცემს სესხს, თუ ამხანაგობანი განიზრახვენ სარდაფების აშენებასო. ჩვენც ამით ვსარგებლობთ. თქვენი ნება-რთვა გვინდა, რომ სახელმწიფო ბანკს მივმართოთ.

თავ. იორამ ჯორჯაძე. ჩვენ გამგეობას მივცეთ ნება-რთვა სარდაფის აშენებისა.

თავმჯდომარე. ეს საგანი გადავცეთ გამგეობის და ზედამხედველ კომისიის წევრების შეერთებულ კრებას; განიხილონ, თვისი მსჯავრი დასდონ და მოახდინონ საგანგებო კრება.

თ. ვახვახიშვილი კითხულობს მოხსენებას იმ საგნის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია: „რადგანაც საზოგადოებას არა აქვს საკმარისი თანხა, ამიტომ არ შეუძლიან გააუმჯობესოს ღვინის უკეთესად შენახვის ტეხნიკა და მისი რიგიანი დაყენება; ამისათვის საჭიროა შესაფერი სარდაფები და მათი მოწყობილებანი. ამასთან თანხის სიცოტავე ხელს უკრავს აღებმიცემობის გაფართოვებას და ახალის წევრების მიღებას. ამის მიხედვით გამგეობა თხოულობს საზოგადო კრებისაგან, რომ მან მიანიჭოს გამგეობას უფლება მთავრობის წინაშე შუამდგომლობისა სახელმწიფო და სხვა ბანკებიდან სესხის აღების შესახებ, მელიორატიულ სესხის აღებისა სარდაფების ასაშენებლად, მათ მოსაწყობად, სავაჭრო თანხის გადიდებისა და საზოგადოების უძრავ-მოძრავი ქონების დაგირავებისა, იმ პირობებით, რა პირობებიც საჭიროდ ცნობილი იქმნება მთავრობის დაწესებულებათაგან. ამასთან მიეცეს გამგეობას ნება სესხის მოხმარებისა. აგრეთვე გამგეობა ითხოვს, რომ მიეცეს ნება უძრავ-მოძრავი ქონება დაუგიროს კერძო კაცთ და დაწესებულებათ იმ პირობებით, რა პირობებითაც გამგეობა იცნობს საჭიროდ. სესხის რაოდენობას გამგეობა უფარდებს ყოველ წლივ მისაღებ ღვინის რაოდენობას და ჰფიქრობს, რომ ყოველ წლივ 50,000 ვედრო ღვინის მისაღებ-გასაძლოლად საჭიროა ჯერ ჯერობით 300,000 მან. სესხი“.

თავ. ს. რ. ჯახჯახაშვილი. მე არ მესმის, როგორ შეიძლება სესხის წინააღმდეგ ლაპარაკი, როცა თან ყველანი სჩივიან, რომ თავ-თავის დროს ღვინის პატრონს ფული არ ეძლევაო. აბა ბრძანეთ, ვინ არის წინააღმდეგი სესხისა?

კრებამ თანხმობა გამოაცხადა სესხის აღებისა.

(დასასრული იქნება)

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ უკვე წარუდგინა პალატას თავისი მოხსენება გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მომავალი წლისათვის. ხსენებულ სამინისტროსათვის კომისიას გადაუდვია სულ 1,645,000 ფრანკი. სამინისტროს წინადადებისათვის 100,000 ფრანკის მომატების შესახებ გარეშე საქმეთა საჭიროებისათვის, კომისიას უარი უყვია.

კომისიის თავმჯდომარე, ბ-ნი ბრიე, თავისის მოხსენების წინ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, საფრანგეთის დიპლომატიის მოღვაწეობის ანგარიშს იძლევა 1898 წ. ის არ მალავს, რომ ინგლისის დიპლომატიის კილომ ფაშოდის გამო დიდი ზედგავლენა იქონია საფრანგეთის მთავრობაზედ. საფრანგეთის ერმა თუმცა ის აზრი გამოსთქვა, რომ მშვიდობიანობის დაცვა ყველაფერს სჯობიაო, მაგრამ, ბრიეს სიტყვით, მთავრობა ვალდებულია ყოველთვის ღონე იხმაროს, რომ შემდეგში მაინც ადგილი აღარ ჰქონდეს ასეთს შემთხვევას. ამ საქმეში საფრანგეთის ინტერესები არ იყო დაცული, ამბობს ბრიე, მაგრამ ეს საფრანგეთის დიპლომატიის ბრალი არ იყოო. საფრანგეთი, მოხსენების ავტორის სიტყვით, უკანასკნელ 28 წლის განმავლობაში მთელს თავისს ყურადღებას იმას აქცევდა, რომ შიგ ევროპაში შიში არავისა ჰქონოდა და თავისი თავი უზრუნველყოფილ ეყო, რის გამოც ყურადღება ვეღარ მიაქცია, თუ რა განსაცდელი მოელოდა სასახლეშენო საქმეებში ევროპის გარედ. ფაშოდის საქმე ჩვენს გასაწვლის შემდეგისათვისო, ამბობს ბრიე, ამის შემდეგ საფრანგეთის მთავრობა მოხსენებულის გულისმოდგინეობით შეუდგება სასახლეშენო საქმეების უფრო კარგად მოწყობასაო.

დასასრულ ავტორი სურვილს აცხადებს, რომ ინგლისის შესახებ საფრანგეთი უფრო მამაცურს პოლიტიკას დაადგეს, რისთვისაც საჭიროა დაივიწყოს თავისი შინაური განხეთქილებაო.

—

**საფრანგეთი და გერმანია.** საფრანგეთის მთავარ შტაბის გაზეთის „Eclair“-ის ერთს თანამშრომელთან შემდეგი საუბარი ჰქონია გერმანელ მოგზაურს ეგგენი ვოლფს:

ინგლისისა და გერმანიის ინტერესები ყველგან ერთი მეორეს ეღობება გზაში, მაშინ როდესაც ევროპის გარეშე საფრანგეთსა და გერმანიას საერთო ინტერესები აქვსთ. სამწუხაროდ, ასეთმა საერთო ინტერესებმა ჯერ ერთი მეორეს ვერ დაგვაახლოვა ჩვენ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აზიასა და აფრიკაში ჩვენმა და თქვენმა ინტერესებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა და ორთავე ერისათვის ემჯობინება, ერთი მეორის თანხმობით იმოქმედონ იქ. ხალხების ცხოვრება ერთი კაცის ცხოვრება როდია. სიბრძნის გამოჩენა საჭიროა, რათა დავიწყებულ იქმნას წარსული უსიამოვნება. სასახლეშენო საქმეებში თავისს დროზედ არის საჭირო მოქმედება, თორემ მერმე გვიან და იქნება. რამდენჯერ იყო ისეთი შემთხვევა, როცა გარკვეული წინადადება საფრანგეთის მხრივ სრულიად საკმაო იყო, რათა გერმანია დაკავშირებოდა მას ევროპის გარეშე საქმეების გადასაწყვეტად. ერთს ასეთს შემთხვევად ჩაითვლება ტრანსვაალის საქმე, მაგრამ საფრანგეთმა ეს შემთხვევა ხელიდგან გაუშვა და გერმანიას მხარი არ დაუჭირა.

ესლანდელი ლტოლვილება ინგლისის უცხო ქვეყნების დაპყრობის შესახებ საშიშოა ევროპის მეტროპოლისათვის. ფაშოდის საქმემ ძლიერ უნდა ჩააგონოს საფრანგეთს. ევროპის კონტინენტის სახელმწიფონი იქით-აქეთ იწევიან და ერთს გარკვეულს გზას ვერ დასდგომიან; ინგლისი-კი მედგრად მისდევს ერთხელ არჩეულს გზას. მხოლოდ გულწრფელ მეგობრობით შეუძლიან კონტინენტალურ სახელმწიფოთ სამართლიანად განაწილონ სამფლობელო აზიასა და აფრიკაში.

—

**კრიტი.** პატრონიშვილის გიორგის კრიტში მისვლის დღეს კრიტის საეროვნო დროშა უნდა აღემართათ, რომელიც პატრონიშვილის მიერ იქმნა მოწონებული; მაგრამ, „Times“-ის ათინელ კორესპონდენტის სიტყვით, რუსეთი თხოულობს თურმე, რომ ახალი დროშა ოსმალეთის ხონთქარს უნდა წარუდგინონ ჯერ-ჯერობით, და იმან თუ მოიწონა, მერმეთ შეიძლება მისი გამოფენა კრიტშიო. ამ გარემოებამ რომ საქმე არ შეაფერხოს, ადმირალებს გადაუწყვეტიათ, პატრონიშვილის მოსვლის დღეს გაშლილ იქმნეს დროშები მხოლოდ ოთხის დიდის სახელმწიფოსი, რომელნიც მფარველობას უწევენ კრიტს. ოსმალეთისა და საბერძნეთის დროშების გამოფენა სრულებით აღკრძალულია. რუსეთის მთავრობა კრიტის საეროვნო დროშის შესახებ იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ ხონთქრის თავმოყვარეობა ცოტათი მაინც დაკმაყოფილებულ იქმნას, რაიცა უფრო კარგია კრიტისთვისო.

— როგორც იუწყებიან, კანდიის მუსულმანები ინგლისის დედოფლის მისართმევად ადრესს ამზადებენ თურმე, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისი მაჰმადიანთა უდიდესი სახელმწიფოა, და ამიტომ გთხოვთ მფარველობა გაგვიწიოთ, რადგან პატრონიშვილს გიორგის სრულებით ვერ ვენდობითო. ადრესზედ ჯერ-ჯერობით 10,000 კაცს ჰქონია ხელი მოწერილი.

## სასამართლოს მატიანე

### ეკკლესიის მკრეხელობა.

1898 წლის 2 მარტის ღამეს დუშეთის მაზრის სოფ. ნატახტარის ეკკლესიიდგან მოიპარეს სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთები და სამი ყულაბი, რომლებშიაც სამ თუმნამდე ფული იყო. ქურდებს ეკკლესიის ეზოს დაკეტილი კარები ანჯამებიდგან ჩამოეღოთ, შემდეგ თვით ეკკლესიის კარის კლიტე გამოეგლიჯათ და ისე შესულიყვნენ ეკკლესიაში. სამის ქურდის ნაკვალევი ამჟღავნებდა, რომ ისინი სოფ. ლამისაკენ წასულიყვნენ და ცალიერი ყულაბები გზაზედ დაეყარათ.

პირველ-დაწყებითმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ეკკლესია გაექურდათ დუშეთის მაზრის სოფ. საშაბუროს გლეხს გიორგი [illegible]შვილსა, 22 წლისას, იმავე მაზრის სოფ. ძამისის — როსტომ შახვალაშვილს, იგივე ვალიშვილი, 24 წლისას, და მარკოზ ცაბაშვილს, 22 წლისას, რის გამოც სამივენი პასუხის-გებაში მისცეს.

ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებამ 8 დეკემბერს განიხილა. სასამართლოში დანაშაული სამივე ბრალდებულისა სავსებით დამტკიცდა.

სასამართლომ, მცირეოდენ თათბირს შემდეგ, დაადგინა განაჩენი, რომლითაც, დამნაშავედ იცნო რა სამივე ბრალდებული, რომ მორიგებულან ერთმანეთში და ისე გაუტეხიათ ეკკლესია. გარდაუწყვიტა: ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა ექვს-ექვსის წლით.

—

### თ. ყიფიანის ასულის მოტაცების საქმე.

ოლქის სასამართლოში უკვე წარადგინა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა საბრალმდებლო ოქმი, რომლითაც აზნაურებს გორის მაზრისას დავით, ნიკოლოზ და ვასილ ნემსაძეებს, მიხეილ თავზარაშვილს და გლეხებს დიმო სუტიაშვილსა, ნიკოლოზ ლომიძეს და ისაია კაკაჩოვს ის ბრალი ედებათ, რომ ძალათი მოიტაცეს ყიფიანის ქალი თამარ, რომელიც გორის მაზრის სოფ. ქვიშხეთში სცხოვრობდა, რათა იმისის სურვილის წინააღმდეგ ჯვარი დაეწერათ დავით ნემსაძეზედაო. ბრალდებულნი გორის საპატიმროში არიან დაპატიმრებულნი.

—

### თურინჯ ვლასოვის საქმე

9 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებამ გაარჩია თურინჯ ვლასოვის საქმე. ტფილისის მოვაჭრეს თურინჯ ვლასოვს ბრალად ედებოდა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, როდესაც ტფილისის მოქალაქის დავიდოვის მამული იყიდებოდა საჯაროდ, სხვანი, ამ მამულის სასყიდლად მოსულნი, დაქრთამა, ზოგნიც დაარწმუნა, რომ მამულს თითონ დავიდოვისათვის ვყიდულობო, საწყალია, ლატაკი და

---

დე ლუკმა პურსა ვცეცხლავთ შენის იმედით. აი, საცაა ჭერიც თავზედ ჩამოგვექცევა. ვამბობდით, ღმერთმა გვიშველა, ჩვენც ქვეყანაში გავერევითო და აბა ეგ რა აზრი გაგივლია გულში, შვილო, მაშ საითღა რა იოხსულს უნდა გავხდეთ, თუ შენსავე ადგილზედ არ დაბრუნდები; რომელის ზვრების პატრონები ვართ, რომ იმის შემოსავლით ვიცხოვროთ. არა, შვილო, ბარემ, სამთავეს ცხელი ტყვია მოგვარტყი. რა უყოთ, რომ შენი დანიშნული ულამაზო ყოფილა, სამაგიეროდ ხასიათი ექნება კარგი. ზღვაში თევზი ვის დაუფასებია შვილო. პატარა ხანი დაიცადე, იქნება ოქროს ხასიათისა გამოდგეს. გარდა ამისა, ასი თუმანი ქრთამი და ასის თუმნის მზითევი უძლევიათ. წადი, შვილო, ჯვარი დაიწერე, ფულმზითევი გამოართვი და მერე, ფულები რო გექნება, ჩვენს სოფელშიაც მოგცემენ მასწავლებლობას. მერე ხო ჩვენს ბედს ქვეყანა დაჰნატრებს. შვილო, შენს იღბალს წიხლს ნუ ჰკრავ, ნურც ამ მოხუცებულობის დროს შემარცხვენ, შენზედ დიდი ამაგი მაქვს, შვილო, და იმედია გამიგონებ, თორემ ეხლავე შენ წინ ყელს გამოვიჭრი, ცოდვაც შენ და მადლიც.

— გული რომ არ მიმდის, დედავ, იმ ქალზე, — სიტყვა დაუშვა ვანომ: ერთი თვე დანიშნული ვიყავი და ზედაც ვერ შევხედე, სწორეთ თვალი ვერ გავუშტერე.

მართამ დაინახა, რომ ამისმა სიტყვებმა ვანოს გული მოულბოს, ამისათვის უფრო დაყვავებით დაუწყო ლაპარაკი.

— არა უშავს რა, შვილო; ჯვარს რო დაიწერ და შენი გახდება, ერთმანეთს შეეჩვევით და იქნება ისე შეგიყვარდეთ ერთმანეთი, რომ ქვეყანა თქვენ დაგნატროდეთ. შვილო, ეხლანდელ დროში სულ მაგ გვარად თხოვდებიან და თხოულობენ. ზოგიერთნი ერთავ თვალით ბრმაა და ორივ მეჯით კოჭლს ირთავენ, ოღონდ ფული ჰქონდესო. მაშ აბა სიყვარულით რომელი ირთავს ეხლა, რომელი ჰკვეთა მყოფელი იტყვის უარს მაგისთანა სახარბიელო ქრთამმზითევისაგან, როგორიც შენთვის უძლევიათ.

დედის ამგვარმა სიტყვებმა ვანოს გული გაუკეთეს. გადასწყვიტა „წავალ, ჯვარს დავიწერ და მერე ვეცდები ჩემს სოფელში თუ არა, ახლომახლო მაინც მასწავლებლობის ადგილი ვიშოვნო და დავბინავდე საყვარელ დედისა და დების ახლოსო“...

### IV

...იანვრის შუა რიცხვებია. მზე კიდეც ჩაესვენა, მხოლოდ მისი უკანასკნელი სხივი ეკკლესიის გუმბათის ჯვარს დასციმციმებს, საოცნებოდ ელვარებს, საყვარლად ზედ დაჰკრთის, ეხუტ-ელამუნება, თითქოს მასთან განშორება ეზარებოდეს, მაგრამ ბუნების ულმობელი კანონი გარდაუვალია, — იცის საცაა უნდა განშორდეს, გამოეთხოვოს... აი ერთი, უკანასკნელი, ტრფობა-ნაღველით შეზავებული კოცნა, და ჯვარი ბნელმა მოიცვა.

ვანოს პაწია ოთახში ხომ კარგა ხანია დაბნელდა, მაგრამ ლამპრის ანთებას არ ეჩქარება იგი. მხოლოდ მაგიდაზედ ხუთ-სასროლიან რევოლვერს რაღაც გულშესაზარი ბზვინვა, ელვარება გააქვს. ვანომ გაათავა წერილების წერა, ერთი დედასთან, ერთიც სიმამრთან და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო...

ეგ და მაკლდა?.. ჯერ ისეც გამჭირებია ჩემის თავის, დედისა და დების შენახვა, ახლა მარო წამოვიკიდო ზურგზე ცალიერ-ტალიერი!.. მერე რამ უნდა შეგვინახოს?.. ამაზედ მეტი იმედების გაცრუება და?!. ტყუილად კი არ ეძახიან შაროს... ჯერ ეხლა ვერ ვიშოვნე ფული და მერე გიშოვნიო. ვიცი ეგ მერე რა ყინულზედ დაწერილი ბარათია... არა. სამუდამოდ ტანჯვას, ერთხელ კაცი მოჰრჩეს და მოისვენოს. ცივი მიწა გააგრილებს ამ ერთის კარგის, მზიანის დღის უნახავს გულს. ან რა მნიშვნელობა აქვს ტანჯვა მწუხარებით პირთამდე აღსავსე სიცოცხლეს. ეს უკანასკნელი შხამ-გესლით მოლიცლიცებული ფიალაც ხომ დამალევინეს...

ვანო მივიდა მაგიდასთან, დააშტერდა რევოლვერს და ნაღვლიანად გაიხარხარა.

— ძლივს არ მომეშვება გულზე დარდები! მე ეხლა დარდი აღარა მაქვს... რაც უნდათ, ისა სთქვან, როგორც უნდათ, იცხოვრონ... მეყო... მოდი ჩემთან ჩემო მხსნელო, ჭირ-ვარამის გამქარვებელო იარაღო. წაიღე და ნიავს მიეც ჩემი... რა უდროოდ“...

და ამ სიტყვებთან ერთად გაისმა რევოლვერის ხმა და ვანო ძირს დაეცა უგრძნობლად. ამ ხმაურობაზედ ხალხი შეიყარა და იმათ თვალებს საზარელი სურათი დახვდა. შაროსთან მიწერილ წერილში ვანო სწერდა, ჩემს სიკვდილს ნურავის ნუ დააბრალებთო, დედასთან მიწერილი, დაბეჭდილი წერილი-კი დანიშნულებისამებრ გაჰგზავნეს...

ე. მ—შვილი

ნუ დაჰღუპავთო და ამ რიგად, მოტყუებით, იმათ ვაჭრობაზე ხელი ააწერინა და ხუთას-ექვსას თუმნად ღირებული მამული—ას ორმოც-დაათ თუმნად ჩაიგდო ხელშიო. სასამართლოში ის მოწმენი, რომლებისათვისაც ვლასოვს ფული მიეცა, არ გამოცხადდნენ, თუმცა მოწმემ მირზა ალაბეკოვმა სთქვა, იმ მოწმეებმა მითხრეს, რომ ვლასოვმა „ოტსტუპნოი" მოგვცაო.

სასამართლომ თურინჯ ვლასოვი, რომელსაც იცავდა ნაფიცი ვექილი ტერ-სტეფანოვი, გაამართლა.

# თეატრის მატიანე

„მეფე ლირი" ქუთაისის სცენაზედ.

შვიდს დეკემბერს ქალაქის თეატრში ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მოთაოსნობით და კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით, წარმოადგინა შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი". ლირის როლს ასრულებდა ბ-ნი ყიფიანი, რომელმაც ჩვეულებრივ კარგად შეასრულა ეს როლი, რისთვისაც საზოგადოებამ, მეტადრე მოსწავლეებმა, უხვად დააჯილდოვეს ტაშის ცემით და ვაშას ძახილით. აზრიანად თამაშობდა გლოსტერის როლს ბ-ნი გამყრელიძე. კარგად თამაშობდა კენტის როლს ბ-ნი ბალანჩივაძე, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, ჩვენის აზრით, ეს როლი მიეცათ თ. შ. დადიანისათვის, რომელიც მასხარას როლს თამაშობდა. მასხარას როლი სუსტად გვეჩვენა. იგი არ შეეფერება ბ-ნ დადიანის ნიჭს. თ. დადიანი უმჯობესად თამაშობს დარბაისელის როლს და არა მასხარისას. ერთი მცირე ნაკლიც შევნიშნეთ ბ-ნ დადიანს. კილო მისის ლაპარაკისა სცენაზედ არ არის ბუნებრივი, იგი თითქო ვილაცას ჰბაძავსო. ამ ნაირი კილო ლაპარაკისა ჩვენ გაგვიგონია ტფილისში ზოგიერთ სომხისაგან, რომელიც ქართულს ლაპარაკს აპტყელებს. გვიკვირს, რათა სჩადის ამას, როცა ბუნებრივი მისი ხმა და ლაპარაკის კილო ფრიად სასიამოვნო და მარილიანია. ედმუნდის როლი აელო ბ-ნ თუთბერიძეს, რომელიც საზოგადოდ როლს ურიგოდ არა სწავლობს, მაგრამ სცენაზედ რომ უფრო კარგად დაიჭეროდეს თავს, უმჯობესი იქნება. მაგალითად, ჩვეულებად აქვს, როცა ლაპარაკობს, ზურგს საზოგადოებისაკენ ხშირად იქცევს, ლაპარაკი მისი კარგად არ ისმის პირველ რიგის სკამებზედაც-კი, ხშირად თვალებს ჰხუჭავს მაშინაც-კი, როცა ეს სრულიად უადგილო და უდროვოა. იგი იმდენად ბეჯითი მოთამაშეა, რომ ამ ნაკლს მალე აიცდენს. ქალებმა სუსტად აასრულეს თავ-თავიანთი როლები. საზოგადოება საკმაოდ იყო: ლოჟები და ქანდარა გატენილი იყო, პარტერში-კი ბევრი სკამი იდგა ცალიერი.

მაყურებელი

# დამაკვირდი

ჭკუა მხოლოდ იმას დაიმორჩილებს, ვისაც არღა აღელვებს არც სიმდიდრე და არც დიდების მოპოვების წყურვილი.

შექსპირი

* * *

ორთაგან ერთი უეჭველად თანაგვაძს: ან ფილოსოფოსს ყოფა ან მეტყველება სხვათა ფილოსოფოსთა.

ანტონი I

* * *

სიმდაბლეო, შენ ანგელოზთა სახეო; ღმერთ-ჰყოფ შენ მადლით მქონებელთა შენთა.

ნიკოლოზ ტფილელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნოემბრის დამლევს ნიუ-იორკში ძლიერ დიდი თოვლი მოსულა და საშინელი ნამქერი ყოფილა. ქალაქში სიარული ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა და მრავალი მგზავრი იძულებულნი გახდნენ ღამე გაეთევებინათ რკინის გზის სადგურებში და ვაგონებში, იმ ღამეს ნიუ-იორკიდგან უნდა წასულიყო 22 გემი, მაგრამ ვერც ერთი ვერ წავიდა. 100 მეტი გემი ქარიშხალმა ნაპირზე გამოაგდო. ხმა დადის; რომ ერთი გემი „პორტლანდი" დაიღუპა, რომელზედაც იყო 15 მოსამსახურე და 65 მგზავრი. ბოსტონის მახლობლად მრავალი ხალხი დაიღუპა, ასეთი ქარიშხალი არა ყოფილა აქ 1852 წლიდგან. ნიუ-იორკის ქალაქის გამგეობამ იმ მუშების გარდა, რომლებიც მუდამ სწმენდავენ ქუჩებს, კიდევ 2,000 მუშა დაიქირავა.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „История грузинской церкви" („საქართველოს ეკლესიის ისტორია"), წიგნი პირველი, შედგენილი რუსულს ენაზედ და გამოცემული მ. გ. ჯანაშვილის მიერ. როგორც წინასიტყვაობაში ავტორი გვპირდება, მთელი ისტორია ოთხ წიგნად გამოვა. ეს მხოლოდ პირველი წიგნია, შეიცავს „ქართველთა მოქცევას" (I—IV საუკ.). წიგნი სულ სამის თავისაგან შესდგება, ბოლოში დამატებული აქვს 1, „Оправданія изложеннаго объ обращеніи картвельцевъ" და 2, „Поученія св. Нины". ეს უკანასკნელი ქართულ ენაზედ არის მოყვანილი. წიგნი შეიცავს 93 გვერდს, სუფთად არის გამოცემული და ღირს 40 კაპ. ამ ჟამად თვით შინაარსის შესახებ ვერა-ვერს ვიტყვით, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ დიდი ხანია საჭიროება მოითხოვს ასეთის წიგნის შედგენასა და გამოცემას რუსულს ენაზედ. გარდა იმისა, რომ ამ წიგნის შემწეობით რუსებს შეძლება მიეცემათ მრავალ-ტანჯულის საქართველოს ეკლესიის ისტორიის გაცნობისა, იგი სხვა-და-სხვა სასწავლებლის ქართველ მოსწავლეებსაც დიდს დახმარებას აღმოუჩენს, როგორც სახელმძღვანელო საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლებაში.

# დეპეშა

9 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული 7 დეკემბერს აბასთუმნიდგან პეტერბურგს გაემგზავრნენ.

8 დეკემბერს დაკრძალეს გვამი მიტროპოლიტის პალლადისა ალექსანდრეს ლავრაში, ისიდორეს ეკკლესიაში. დაესწრნენ: დიდნი მთავარნი პავლე ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე და სერგეი მიხეილის ძე.

**რეტიმნო.** ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღესასწაულმა აქ მეტად მხიარულად ჩაიარა. მაჰმადიანნი მცხოვრებნი, თავიანთის სასულიერო წოდების წარმომადგენლებით დაესწრნენ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში გარდახდილს პარაკლისს. ეს ამბავი აიხსნება რეტიმნოში მყოფ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა მხნე მეცადინეობით. ამ მოხელეთა კეთილმა მოქმედებამ მცხოვრებთა შორის დიდი ნდობა დაჰბადა.

**ქაირო.** მარშანი თავისის ჯარით ფაშოდიდგან გამოვიდა. საფრანგეთის დროშა ჩამოხსნეს. ფაშოდის ციხეზე ამართულია ინგლისისა და ეგვიპტეს დროშები, რის შემდეგ ფორტი ეგვიპტეს ჯარმა დაიჭირა. მარშანი შატის მდინარისაკენ წავიდა.

**მილოსი.** დილით ადრე მოვიდნენ ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის ადმირალები. დილის 10 საათზე მოვიდა აქ გემით „ამფიტრიდათი" ბატონიშვილი გიორგი. ადმირალები მიესალმნენ ბატონიშვილს, რომელიც შემდეგ ყველასთან სათითაოდ იყო სადარბაზოდ. რუსეთის გემის მღვდელმა დალოცა ბატონიშვილი წმ. ნიკოლოზის სასწაულთმოქმედი ხატით. ხვალ, დილის 8 საათზე ბატონიშვილი კანეას წავა. აქ ბატონიშვილს ჩააბარებენ მმართველობას, ამართული იქნება კრიტის დროშა და იმ წამ-დგან მოსპობს თავისს მოქმედებას ადმირალთა საბჭო.

**ლონდონი.** სენტ ჯემს-ხოლლში მოხდა კრება, რომელსაც მოუწოდა ჟურნალისტმა სტედმა რუსეთის იმპერატორის მიერ იარაღის აყრის შესახებ გამოქვეყნებულ მანიფესტის განსახილველად. თავჯდომარედ იყო ლონდონის არქიდიაკონი. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ურჩევს სამართლიანობისა და ადამიანობის მეგობართ შეწყნარებულ იქმნას იმპერატორის წინადადებაო. განზრახვა აქვთ დააარსონ კომიტეტი, რომელმაც საერთოდ უნდა იმოქმედოს ხელმწიფე იმპერატორის მიერ განცხადებულ მანიფესტისათვის ნიადაგის მომზადებაში მთელის განათლებულის ქვეყნისათვის.

**კონსტანტინეპოლი.** ილდიზკიოსკში გაიმართა სადღესასწაულო სადილი პატივსაცემლად დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა, რომელსაც თან ახლდა ზინოვიევი დაესწრნენ: დიდი ვეზირი, სამხედრო მინისტრი, ზღვათა მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტი, გარეშე საქმეთა მინისტრი, გენერალ-ფელცეხმეისტერი, დიდის მთავრის ამალა, საელჩოთა წევრნი, გემის „პრუტის" ოფიცრობა და სასახლის უფროსნი მოხელენი.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა მილიერანის წინადადების განხილვას შეუდგა, რა პირობებით შეიძლება საიდუმლო dossier დრეიფუსის საქმის შესახებ გარდაეცეს საკასსაციო სასამართლოს. გაცხარებულის კამათის შემდეგ პალატამ, 870 ხმით 80 წინააღმდეგ, შეიწყნარა დიუპუის ფორმულა, რომელშიაც ნათქვამია, რომ პალატა იწონებს მთავრობის განცხადებას და მორიგ საქმეების განხილვაზედ გადადისო.

**კონსტანტინეპოლი.** 7 დეკემბერს დიდმა მთავარმა ინახულა ექსარხოსი, მერმეთ ზინოვიევი იახლა და პატრიარქთან წავიდა. დიდი მთავარი მიღებულ იქმნა დიდის პატივისცემით. პატრიარქის სასახლის კარებთან მას მიეგებნენ დიდი ვიკარი და სინოდის მდივანი; ეკლესიის შესავალთან თვით პატრიარქი. ეკკლესიაში შეიკრიბნენ სინოდისა და ერის კაცთა საბჭოს წევრნი. პატრიარქმა ლოცვა კურთხევა უბოძა დიდს მთავარს და მიაცილა პატრიარქის ტახტის პირდაპირ გამართულ ადგილამდე. პატრიარქმა წარმოსთქვა ლოცვა რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცასი, მემკვიდრე ცესარევიჩისა, იმპერატორის გვარეულობისა, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და მთელის რუსეთის ერის სადღეგრძელოდ, შემდეგ სთქვა სიტყვა, რომელიც იქვე გადასთარგმნა ერთმა არქიმანდრიტმა. დასასრულ შესრულებული იქმნა გიმნი და დამწრენი ჯვარს ემთხვივნენ. მღვდელთ-მსახურების შემდეგ დიდი მთავარი მიაცილეს პატრიარქატის დარბაზამდე, სადაც წარჩინებულნი წარუდგნენ დიდს მთავარს და აქ მოხდა მცირე საუბარი. პატრიარქატიდგან წასვლის დროს დიდს მთავარს იგივე პატივი სცეს, როგორიც მისვლის დროს. შემდეგ დიდი მთავარი სადარბაზოდ იყო დიდ ვეზირთან და გარეშე საქმეთა მინისტრთან და ელჩებს დაუტოვა სადარბაზო ბარათები.

ზინოვიევს ებოძა ბრილიანტის ნიშნები პირველის ხარისხის მეჯიდიეს ორდენისა.

10 დეკემბერი

**პეტერბურგი.** საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ასის წლის არსებობისა გამო შემოღებულ იქმნა საგანგებო, გულზე სატარებელი ნიშანი.

**პარიჟი.** სენატი შეუდგა რა წინადადების განხილვას, აკანონებს, რომ მშვიდობიანობის დროს სიკვდილით იქმნენ დასჯილნი ის მოხელენი რომელნიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან ჯაშუშობაში.

**პარიჟი.** პალატა. სოციალისტმა ფურნიემ წარადგინა წინადადება შესახებ იმისა, რომ სამხედრო სამსახურის მოხელეთ დაუბრუნონ პოლიტიკური უფლებანი. ფურნიე თხოულობს, ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს განხილულიო. პალატამ 477 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 267 ხმისა უარ-ჰყო ამ საქმის განხილვის დაუყოვნებლობა.

საიდუმლო „დოსიე" დრეიფუსის საქმისა გარდაეცა საკასაციო სასამართლოს, ხოლო იმ პირობით, რომ ეს საბუთის ქაღალდი არ იქმნეს გამოქვეყნებული.

**ბუდაპეშტი.** გამოცხადებულ იქმნა ხელმწიფის მიერ ხელ-მოწერილი ბრძანება, რომლითაც სამინისტროს ბანფი დათხოვნილ იქმნა სამინისტროს მმართველობისაგან. იმის ადგილზე ინიშნება სტატს სეკრეტარი სეგენი, რომელსაც ებოძება ტაინისოვეტნიკობა.

**მილოსი.** ბატონიშვილი გიორგი და დიადოხი შუადღისას მობრძანდნენ აქ „ამფიტრიდის" გემით. ადმირალების გემებიდგან ზარბაზნები დასცალეს ბატონიშვილის მისალმების ნიშნად. მუსიკა საბერძნეთის საერო ჰიმნს უკრავდა. ადმირალები წარსდგნენ ბატონიშვილის გიორგის წინაშე, რომელიც შემდეგ სადარბაზოდ მივიდა ადმირალებთან. ადმირალებმა ბატონიშვილ გიორგისთან ისადილეს. შუაღამეზედ ბატონიშვილი წავა კრიტში „Puq6aud"-ით რომელსაც სხვა გემები გააცილებენ, ხოლო დიადოხი უკანვე დაბრუნდება საბერძნეთში. ბატონიშვილი გიორგი დილით მივა სუდაში, სადაც დახვდებიან ადმირალები, და შემდეგ ეტლით წავა კანეას, სადაც მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში გარდახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი. კონახში ადმირალი პოტიე ჩააბარებს ბატონიშვილს კრიტის მმართველობას; ამ დროს კონახზედ ამართული იქნება თვითმართველობის დროშა და ადმირალების გემებზედ 21-ჯერ დასცლიან ზარბაზანს. შემდეგ ბატონიშვილი ინახულებს კონსულებს, ჯარის უფროსთ, ოფიცერთ, ეროვნულ კრების აღმასრულებელ კომიტეტის წევრთ, ქალაქის მოურავს და მუსულმანთა წარჩინებულ კაცებს. კანეაში ლამაზად გამოფენილია ბაირაღები, განსაკუთრებით თვითმართველობისა: თეთრი ჯვარი ცისფერს არშიაზედ და მარცხენა ზევითა კუთხეში თეთრი ვარსკვლავი წითელს არშიაზედ.

**ვენა.** გამოცხადებულ იქმნა ბრძანება რეიხსტაგის კრების გადადების შესახებ.

**ლონდონი.** „Morning Tosts"-ს დეპეშით სწერენ ხონკონგიდგან, რომ „ან ძე-კიანგის ზემო ხეობაში საქმეთა ვითარება კვლავ საშიშოაო. ვიცე კოროლმა ხუპემ ბრძანება გასცა, ჯარი მზად იყოს იჩანგში წასასვლელადაო. სეჩვანის პროვინციაში უკმაყოფილება ვრცელდება. უწესოება დღითი დღე ძლიერდება. იგივე ხდება ხუნანის პროვინციაში.

**კანეა.** ბატონიშვილის გიორგის მოსვლის გამო დღევანდელი და შემდეგ ორი დღე სადღესასწაულო დღეებად იქმნენ აღიარებულნი ბატონიშვილმა გიორგიმ მცხოვრებთა სიხარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლად ეტლით გაიარა გაჩირაღდნებულს ქალაქში. სიხარულით აღტაცებულს ხალხს ხელში მაშხალები ეჭირა და ისე უხვდებოდა ბატონიშვილს. მაჰმადიანებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთო სიხარულში და თავიანთი სახლები გააჩირაღდნეს.

**სუდა.** ბატონიშვილი გიორგი მოვიდა აქ დღეს დილით. დაუხვდნენ ოთხის დიდის სახელმწიფოს ადმირალნი და მხიარული ხალხი. ამართულ იქმნა კრიტის ავტონომიის დროშა და სამხედრო გემებმა სათითაოდ 12 ზარბაზანი დასცალეს.

შემდეგ ბატონიშვილი მივიდა კანეაში. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თანამდებობის მიღების დროს ბატონიშვილმა სთხოვა ადმირალებს გარდაეცით თქვენს მთავრობას, რომ დიდად მადლობელი ვარ იმათი ნდობისათვისაო.

**კანეა.** ადმირალმა პოტიემ, გადასცა რა ბატონიშვილს გიორგის კუნძულის მმართველობა, განაცხადა, სრული იმედი მაქვს, რომ შეასრულებთ იმ საქმეს, რომელიც დიდმა სახელმწიფოებმა დაგავალესო. ბატონიშვილმა მიჰმართა კრიტის კუნძულის მცხოვრებს სიტყვით, დაჰპირდა სამართლიანსა და პირუთვნელს მმართველობას და ურჩია დაივიწყეთ უწინდელი შუღლიო. ბატონიშვილმა დასძინა ისიც, რომ ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყველა მცხოვრებელთ თვისი დახმარება აღმოუჩინონ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 10 го Декабря 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე